

შემოსავლების სამსახურის უფროსის  
ბრანება №33619

2021 წლის 25 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ცალკეულ შემთხვევებში მომსახურების გაწევის ადგილზე დაინტერესებული პირისთვის  
მომსახურების გაწევის შეზღუდვის შესახებ

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2021 წლის 15 იანვრის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ მომსახურების გაწევისა და მომსახურების საფასურის აღრიცხვის ბარათის წარმოების წესის“ მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. შეიზღუდოს მომსახურების გაწევის ადგილზე ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული მომსახურების გაწევა შემოსავლების სამსახურის ავტორიზებული მომხმარებლისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების გაწევის პროცესში იკვეთება ინდივიდუალური/სპეციფიური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის მომსახურების დისტანციურად, ელექტრონული ფორმით (ავტორიზებული მომხმარებლის გვერდიდან) მიღებას.
2. ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულება და შემდგომი ზედამხედველობა დაევალოს შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტს.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2021 წლის 15 ნოემბრიდან.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკავა.

